

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის წარმოების ჯაჭვი იმერეთსა და რაჭის რეგიონებში თხილის წარმოება

1. შესავალი

წინამდებარე კვლევა განხორციელდა პრადის ცოცხალი ორგანიზმების შემსწავლელი მეცნიერებების ჩეხეთის უნივერსიტეტის (ტროპიკული აგრო-მეცნიერებების ფაკულტეტი) მიერ, არასამთავრობო ორგანიზაციასთან - „People in Need“ და საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციასთან ერთობლივი თანამშრომლობით, 2013 წლის ივლისიდან 2014 წლის ივნისამდე პერიოდში. აღნიშნული კვლევა წარმოადგენს იმერეთის რეგიონში სოფლის მეურნეობის სექტორის ძირითადი რეგიონალური პროდუქტის წარმოების ჯაჭვის ანალიზის ნაწილს.

კვლევის მიზანია, საბაზისო ინფორმაციისა და მონაცემების მოპოვება „მცირე ფერმერული კოოპერატივების მწარმოებლურობის გაძლიერება იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში“ პროექტისთვის, მისი შემდგომი ეტაპების განსახორციელებლად. პროექტი ფინანსდება საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპული სამეზობლო პროგრამის ფარგლებში (ENPARD Georgia), როგორც მცირე ფერმერების თანამშრომლობის შემადგენელი ნაწილი.

კვლევის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა ENPARD Georgia-ს და ჩეხეთის განვითარების სააგენტოს პროექტის „კოოპერატივების მხარდაჭერა იმერეთის რეგიონში, საქართველოში“ დაფინანსების გარეშე.

2. მეთოდოლოგია

კვლევიტმა ჯგუფმა იხელმძღვანელა მიდგომით, რომელიც ერთდროულად რამდენიმე საკითხზე მუშაობის შესაძლებლობას იძლევა. ხარისხობრივი და რაოდენობრივი მეთოდების ტრიანგულაციის ხელშეწყობით განხორციელდა მონაცემთა შეგროვების ორგანიზება და მეთოდოლოგიის შერჩევა, სხვადასხვა სპეციფიკური საკითხების შესაფასებლად. მას შემდეგ, რაც დადგინდა მაღალი განვითარების პოტენციალის მქონე ადგილობრივი რვა პროდუქტი, (რაც დაეფუძნა ადგილობრივი ექსპერტებისა და მთავრობის მოხელეთა ინტერვიუებს), ჩვენ განვახორციელეთ უფრო დეტალური კვლევა, რომელიც თითოეულ შერჩეულ პროდუქტზე თემატიკურად ფოკუსირდებოდა. #1 ცხრილში ასახულია იმერეთის რაიონები, სადაც ყველაზე მეტადაა გავრცელებული თხილის წარმოება:

ცხრილი 1 - იმერეთის რეგიონში თხილის გავრცელების უბნები

თხილი

ვანი

ჭაგანი

ძულუხი

სამტრედია¹

იმერეთის რეგიონის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთან დაკავშირებული დარგობრივი მონაცემების შეგროვება სამ ეტაპად განხორციელდა:

2013 წლის ივლისი - იმერეთის 11 რაიონის რვა ძირითადი პროდუქტის წარმოების სისტემები;

2013 წლის აგვისტო - ბაზრის კვლევა და წარმოების სისტემების ანალიზი სამ რაიონში, რომლებიც პროექტის განხორციელების სამიზნე რაიონებად განისაზღვრა;

2013 წლის ნოემბერი - საპილოტო მონაცემების შეგროვება პირველი პროდუქტისთვის;


2014 წლის მარტი - ივნისი - დანარჩენი პროდუქტებისთვის მონაცემების შეგროვება და დასრულება.

ანალიზისთვის უმთავრესად გამოყენებულ იქნა ინფორმაციის ძირითად მიმწოდებლებსა და ფერმერთა ჯგუფზე დაყრდნობით წარმოებული თვისობრივ-ხარისხობრივი კვლევა, რომელიც სამიზნე ჯგუფების ქცევებისა და მათ მიერ კონკრეტული თემებისა და საკითხების აღქმის გამოსავლენად შეიქმნა. მთავარ თვისობრივ-ხარისხობრივ მეთოდად გამოყენებულ იქნა ნახევრად-სტრუქტურული და სიღრმისეული ინტერვიუების მეთოდი. ინტერვიუები ჩატარდათ ინფორმაციის მომწოდებელთა მცირე ჯგუფებს, რომლებსაც გამოსაკვლევ საკითხთან დაკავშირებით როგორც წესი, უშუალო პირველადი ცოდნა გააჩნიათ. თითოეული ინტერვიუ 1,5-დან 2 საათამდე გაგრძელდა. ინფორმაციის ძირითად მომწოდებელთა მრავალფეროვნება მნიშვნელოვანი იყო იმისათვის, რომ მოეცვა მთელი წარმოების ჯაჭვი - მიმწოდებლებით დაწყებული, ადგილობრივი ბაზრით დამთავრებული. ეს გულისხმობს სხვადასხვა სიდიდის ფერმერების (როგორც მცირე ზომის, ისე მსხვილი მოვაჭრეები), შემგროვებლების (დამამზადებლები), შუამავლების, გადამამუშავებლების, ადგილობრივ ბაზარზე მოვაჭრეების, ექსპორტიორების, აგრო-სამრეწველო მაღაზიების (რომლებიც ყიდიან თესლებს, ნერგებს, სხვადასხვა სახის სამუშაო იარაღს, ტექნიკას, პესტიციდებს, ჰერბიციდებს, სასუქებს და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის წარმოებისთვის საჭირო რესურსს) იდენტიფიცირებას და მათთვის ინტერვიუების ჩატარებას.

თხილის ინდუსტრიაში მონაცემთა შეგროვების მეთოდად გამოყენებული იქნა შემდეგი: (სივრცითი გადანაწილება წარმოდგენილია # 1 სურათზე):

¹ სამტრედია და მისი შემოგარენი საუკეთესო ადგილია თხილის წარმოებისთვის იმერეთის რეგიონში, თუმცა PIN -ის საქმიანობა ამ რაიონში არ განხორციელდება.

- სურათი 1 - იმერეთში მონაცემთა შეგროვების ადგილების რუკა



ადგილობრივი ბაზარი

3

3. თხილის წარმოება როგორც საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი

2012 წელს, გაუტეხავი თხილის წარმოება მსოფლიო მასშტაბით, 914 447 ტონამდე გაიზარდა. ათ ყველაზე მსხვილ მწარმოებელთა რიგებში შედიან: თურქეთი, რომლის წილი შეადგენს მსოფლიო წარმოების თითქმის 75% (660 000 ტონა), იტალია (85 000 ტონა), აშშ და აზერბაიჯანი (30 000 ტონა), საქართველო (25 000 ტონა), ჩინეთი (23 000 ტონა), ირანი (21 500 ტონა), ესპანეთი (14 000 ტონა), საფრანგეთი (8 500 ტონა) და პოლონეთი (4 200 ტონა) (FAO, 2014). ევროკავშირში თხილის წარმოება მეტად არასტაბილურია და საშუალოდ 125 000 ტონას შეადგენს. ეს მოცულობა საკმარისი არ არის ევროკავშირის მოსახლეობის მოხმარების ან გადამუშავებისთვის დასაკმაყოფილებლად, ამდენად, ევროკავშირში დამატებით 150 000 ტონა თხილის იმპორტირება ხორციელდება ყოველწლიურად.


ტრადიციულად, ქართველებს თხილი მიაჩნდათ მათთვის ერთ-ერთ უმთავრეს სასოფლო-სამეურნეო მრავალწლიან კულტურად, რომელსაც უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობა გააჩნია. ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს თანახმად (USAID, 2011), საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ექსპორტის 24% თხილზე მოდის. საქართველო მსოფლიოში თხილის უმსხვილეს მწარმოებელთა შორის მეხუთე ადგილზე; ის მსოფლიოში გაუტეხავი თხილის ექსპორტის მიხედვით მეხუთე უმსხვილესი ექსპორტიორია და მეოთხე ადგილზეა თხილის გულის ექსპორტის მიხედვით. FAOSTAT-ის მონაცემების თანახმად, გაუტეხავი თხილის წარმოება ორჯერ გაიზარდა 2000 წლის შემდეგ (ცხრილი 2). ანალოგიური ვითარება შეინიშნება თხილის გულის შემთხვევაშიც, რაც გადამუშავების უფრო დიდ მასშტაბზე მიუთითებს, კვლევის დაწყების წლებთან შედარებით. რაც შეეხება სხვა პროდუქტებს, როგორიცაა ბლანშირებული, მოხალული ან დაქუცმაცებული თხილი, მათი წარმოება მინიმალურია.

ცხრილი 2 – საქართველოში თხილის წარმოება ტონებში (წყარო: FAOSTAT)

საქართველოს


რეგიონებიდან მოპოვებული დამატებითი მონაცემები მკაფიოდ ადასტურებს, რომ სამეგრელო და ზემო სვანეთი თხილის ყველაზე მსხვილ მწარმოებელ რეგიონებს წარმოადგენენ, თუმცა 2010 წლის შემდეგ, წარმოების მოცულობის შემცირება შეინიშნება. სამეგრელო და ზემო სვანეთს მოსდევს გურიისა და იმერეთის რეგიონები, სადაც გასული წლების განმავლობაში, შედარებით სტაბილური წარმოება მიმდინარეობს (იხილეთ ცხრილი 3).

ცხრილი 3 – რეგიონებში თხილის წარმოება ტონებში (წყარო: GEOSTAT)



ერთ-ერთი მსხვილი ექსპორტიორის სტატუსის მიუხედავად, საქართველოში თხილის წარმოების ჯაჭვი დიდ წილად აუთვისებლით რჩება. ქართველ მწარმოებლებს უფრო მაღალი სტანდარტების მიღწევის შესაძლებლობა გააჩნიათ (USAID, 2011). ამას ადასტურებს მრუდი, რომელიც თხილის ნარგავების მთელ ფართობს ასახავს (ცხრილი 4), მას მოსდევს გაუტეხავი თხილის წარმოების ამსახველი მრუდი. ეს მიუთითებს, რომ ასული ათი წლის განმავლობაში, წარმოების გასაძლიერებლად მნიშვნელოვანი ღონისძიებები არ გატარებულა.

ცხრილი 4 – თხილის ნარგავების ფართობი ჰექტარებში (წყარო: FAOSTAT)



4. თხილის წარმოების ჯაჭვის აღწერა

4.1 წარმოების სისტემები

იმერეთის რეგიონში თხილის წარმოება პოპულარულია, რამდენადაც ეს რეგიონი საქართველოში თხილის წარმოების მოცულობის მიხედვით, მესამე ადგილზეა. იმერეთში თხილის ძირითადი წარმოება ვანში, ჭავჭავაძისა და სამტრედიის მუნიციპალიტეტებში მიმდინარეობს.



სურათი 1 - თხილის ტიპური მეურნეობა

სოფელ ძულუხში, სადაც ფოკუს-ჯგუფის დისკუსია შედგა, ადგილობრივ ფერმერთა 100% (დაახლოებით 250 ოჯახი) ჩართულია თხილის შეგროვებაში. თითოეულ საოჯახო მეურნეობას საკუთრებაში საშუალოდ 1.5 ჰა მიწის ნაკვეთი გააჩნია, რომლის 60% - ზე თხილია გაშენებული. შესაბამისად, თხილის ნარგავებს დაახლოებით 150 ჰექტარი მიწის ფართობი უკავია. ოჯახის შემოსავლებში სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავლის წილი საშუალოდ 80% შეადგენს.


თხილის ბუჩქის (ხის) საშუალო მოსავალი ჰექტარზე 1 ტონაა, სულ ყოველწლიურად დაახლოებით 150 ტონა თხილი იწარმოება. მოსავლის დიდი ნაწილი ბაზარზე შუამავლის საშუალებით იყიდება. შუამავალი ადგენს ფასს. ფერმერებმა უკმაყოფილება გამოთქვეს თხილის შემგროვებელი ცენტრების სიმცირის გამო. ცენტრების არსებობას შესაძლოა ხელი შეეწყოს პროდუქტის ფასის გაზრდისთვის. ანალოგიურ სიტუაციას ვხვდებით კვლევის დროს შესწავლილ ყველა ადგილზე.

დანაწევრებული და მცირე მეურნეობების გამო, ფერმერები თხილის სხვადასხვა სახეობას აწარმოებენ და მოსავალს სხვადასხვა დროს იღებენ, შესაბამისად, წარმოების და შენახვის სხვადასხვა ტექნოლოგიას იყენებენ - რაც საბოლოოდ ხარისხზე აისახება (USAID, 2011).

თხილის გარდა, ფერმერები პირადი მოხმარებისთვის აწარმოებენ ბოსტნეულს, ხილს, მარცვლულ და პარკოსან კულტურებს. როგორც პირადი მოხმარებისთვის, ისე გასაყიდად, ფერმერები აწარმოებენ თხილს, რძეს, ყველს, ხორცს და ხილს, მაგ. ვაშლი,

მსხალი, ტყემალი (იხილეთ სურათი 2). ახალხან ზოგიერთმა ფერმერმა დაიწყო პოლევნიის ხეების (აზიური ხის ჯიში) დარგვა შემისთვის. ეს ხეები ძალიან სწრაფად იზრდება, წელიწადში დაახლოებით 20 ფუტი (დაახლოებით 6 მეტრი). პოლევნიის ზოგიერთი ჯიშის ნარგავების გამოყენება შემის დასამზადებლად შესაძლებელია უკვე ხუთ წელიწადში. ხეები მოჭრის შემდეგ კვლავ იზრდებიან არსებული ფესვთა სისტემიდან.

სქემა 2 – თხილთან ერთად კულტივირებული ძირითადი პროდუქტი



4.2 პროდუქტიულობა (ნაყოფიერება)

თხილის ორი სახეობა, პონტოს თხილი (*Corylus pontica*) და კოლხური თხილი (*Corylus colchica*), თხილის სხვადასხვა ენდემური ჯიშების საწყისს წარმოადგენენ. ეს ჯიშები კარგად შეეგუენ საქართველოსთვის დამახასიათებელ ნიადაგსა და კლიმატურ პირობებს და ბუნებრივი შერჩევისა და ჰიბრიდიზაციის გზით, მაღალი ხარისხისა და მაღალპროდუქტიული ჯიშები წარმოშვეს (მაგ. გულშიშველა, შველისყურა, ხაჭაპურა, ანაკლიური, დედოფლის თითი, ნემსა, საივანოზო, ბერძნულა და ა.შ.). ეს კულტურები წარმოიშვა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროსა და მომიჯნავე რეგიონებში. თხილი ძირითადად იზრდება იმ რეგიონებში, სადაც აქტიური ჯამური წლიური ტემპერატურა 38.00 დან 42.50°C-ცელსიუსამდე მერყეობს, ნალექის საშუალო წლიური რაოდენობა 1,500-1,900 მმ.ს აღწევს, ჰაერის შედარებითი ტენიანობა 70-75%-ია, და მდებარეობა ზღვის დონიდან 450 - 650 მეტრია. თუმცა, თხილი ბუნებრივად იზრდება ადგილებში, რომელიც ზღვის დონიდან 1800 მეტრამდე მდებარეობს (GEONUTS, 2013). კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, თხილი მწიფდება ივლისიდან აგვისტოს შუა რიცხვებამდე პერიოდში. მისი საშუალო პროდუქტიულობა 1 ბუჩქზე 5-დან 10 კგ.მდე შეადგენს. მაღალი მსხმოიარობის მისაღწევად, ახალი ბუჩქების დარგვისას საჭიროა ნარგავებს შორის სულ მცირე 4 მეტრის მანძილის დაცვა, რათა მცენარის ზრდისთვის საკმარისი სივრცე იქნა უზრუნველყოფილი.

ქართული თხილისთვის ჰექტარზე საშუალო მოსავალი დაახლოებით 1მტ-ს შეადგენს. როგორც წესი, რესპონდენტები აცხადებდნენ, რომ ჰექტარზე დაახლოებით 600-დან 1500 კგ.მდე მოსავალს იღებენ. მოსავლის მოცულობა დამოკიდებულია ნიადაგსა და გამოყენებულ აგროქიმიკატებზე (ჰერბიციდები, სასუქები). საშუალო მოსავლიანობა შედარებითია თურქეთში მოწეული თხილის მოსავლის რაოდენობასთან. იტალიური თხილის მოსავლიანობა შეადგენს 1.5 მტ/ჰა, აშშ-ში(ძირითადად ორეგონი) – 2.5 მტ/ჰა (USAID, 2011). მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში წარმოების გარკვეული ზრდა

ფიქსირდება, ქართული თხილის მოსავლიანობა მნიშვნელოვნად დაბალია საერთაშორისოდ არსებულ საშუალო მოსავლიანობასთან შედარებით. ამას მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს წმინდა შემოსავლის შემცირებაზე, საქართველოს თხილის სექტორის მიერ გადასამუშავებელი პროდუქტის რაოდენობაზე, და საერთაშორისო მასშტაბით გაყიდულ/ექსპორტირებული თხილის რაოდენობაზე.

ფერმერთა დიდ ნაწილს არ გააჩნია რიმე სახის მექანიზაციის საშუალება, რაც ხელს შეუწყობდა საქმიანობის ეფექტურობის გაუმჯობესებას. ყველა სამუშაო სრულდება ხელით. თუ რომელიმე ფერმერს აქვს საკუთარი მექანიზაციის საშუალება, ის საფასურის სანაცვლოდ სხვებზე აქირავებს მას. ბოლო წლებში შესაძლებელია მექანიზაციის საშუალებების შეკვეთა უფრო მსხვილი შემგროვებელი საწარმოებისთვის.

4.3 იმერეთის რეგიონისთვის დამახასიათებელი პროდუქციის ქსელი

თხილის წარმოების ჯაჭვში რამდენიმე მონაწილეა ჩართული. პროდუქტი საბოლოო მომხმარებელამდე სხვადასხვა გზით ხვდება (იხილეთ სურათი 3).

თხილს მწარმოებელი ყიდის:



სურათი 2 – თხილის გაყიდვა ადგილობრივ ბაზარზე


1. პირდაპირ ადგილობრივ ღია ბაზარზე - პროდუქტის მიყიდვა ხდება ბაზრის გამყიდველზე, რომელიც ქირას იხდის ბაზარში დგომისთვის. მაგ. ქუთაისში ბაზარში დგომის საფასური ყოველთვიურად 150-დან - 200 ლარამდე შეადგენს (ამას ემატება ელექტროენერგიის გადასახადი), ადგილიდან გამომდინარე. მცირე შემთხვევებში, ამ ჯაჭვს შეიძლება

დაემატოს შუამავალი. ამ უკანასკნელს არ აქვს თხილი, ის მხოლოდ გადამყიდველის როლს ასრულებს.

2. თხილის შეგროვების მცირე ზომის ცენტრებში - ეს ცენტრები უზრუნველყოფენ ისეთ მომსახურებას, როგორიცაა შეგროვება, გასუფთავება, დახარისხება, კალიბრაცია, შეფუთვა. ზოგიერთი მათგანი თხილს ნაჭუჭიდან ათავისუფლებს. ისინი პროდუქტს პირდაპირ ფერმერებისგან ყიდულობენ; ფერმერებს პროდუქტი შეგროვების ცენტრებში ან თვითონ მიაქვთ, ან ცენტრები თხილის შესაძენად მცირე ფერმერებთან თავად აგზავნიან მანქანებს. ზოგიერთ შეგროვების ცენტრს გააჩნია საკუთარი მიწის ნაკვეთი, სადაც თავად ზრდის თხილს, რათა გარკვეულწილად გადაჭრას ფერმერების მხრიდან თხილის არასტაბილურად მოწოდების პრობლემა. მაგ. ვანში სამი ასეთი ცენტრია.

3. საშუალო და მსხვილი ზომის შეგროვების ცენტრებში – გარდა იმ მომსახურებისა, რომელსაც მცირე ზომის ცენტრები ახორციელებენ, ზოგიერთი საშუალო და მსხვილი ცენტრი აღჭურვილია თხილის მოსახალი, დასაჭრელი, დასახარისხებელი და შესაფუთი დანადგარებით, რათა გაამრავალფეროვნოს თავისი პროდუქცია და გახდეს როგორც ნედლეულის, ისე ინგრედიენტების მომწოდებელი. იმერეთის რეგიონის მწარმოებლები ხშირად მიმართავენ ზუგდიდში, მარტვილში, სენაკსა და ქუთაისში განთავსებულ საშუალო და მსხვილი ზომის შეგროვების ცენტრებს.

სქემა 3 –იმერეთში თხილის მიწოდების ძირითადი ჯაჭვი




როგორც წესი, ფასებიდან გამომდინარე, შეგროვების ცენტრები პროდუქტს პირდაპირ ევროპის ბაზრებზე ყიდიან, ან გაყიდვას თურქი მიმწოდებლების საშუალებით აწარმოებენ. ეს უკანასკნელნი პროდუქტის ევროპის ბაზარზე გატანამდე თავის „გასაყიდ სხვაობას“ იღებენ.

გარდა ამისა, არსებობს გარკვეული განსხვავებები იმაში, თუ როგორ ყიდიან ფერმერები თავიანთ პროდუქტს. როგორც წესი, პროდუქტის გაყიდვა ხდება არა ერთიანად, არამედ ნაწილ-ნაწილ (მაგ. 100 კგ. ყოველთვიურად), ოჯახში ფულის საჭიროებიდან გამომდინარე. ასევე, უფრო მომგებიანია პროდუქტის ნაწილის ზამთრის ან გაზაფხულის თვეებში გაყიდვა, როდესაც ფასი უმაღლეს ზღვარს აღწევს. თუ ფერმერს თავისუფალი ფინანსური რესურსები გააჩნია, ის პროდუქტს სხვა მწარმოებლებისგან ყიდულობს და შემდგომში ყიდის იმ დროს, როდესაც პროდუქტს საუკეთესო ფასი აქვს.

4.4 პროდუქციის ფასები

საერთაშორისო სტატისტიკის თანახმად, საქართველოში პროდუქციის ფასი შეადგენს 1.89 აშშ დოლარს / 1 კგ.ზე (3.3 ლარი). ყველაზე მსხვილ მწარმოებელ ქვეყნებთან შედარებით, ძირითადად მეზობელი თურქეთი და აზერბაიჯანი, ფასი მეტად კონკურენტუნარიანია (იხილეთ ცხრილი 5). ერთადერთი საფრთხე შეიძლება შექმნას ჩინეთიდან იმპორტირებულმა იაფფასიანმა პროდუქტმა.

ცხრილი 5 – მწარმოებლის ფასი თხილზე აშშ დოლარი/ტონა (წყარო: FAOSTAT)



მიუხედავად იმისა, რომ პროდუქციის ფასი დაბალია, საბოლოო ფასზე დიდ გავლენას ახდენს თურქეთის ბაზარზე არსებული ფასი. ეს ყოველთვის განიცდის დიდ ცვლილებას, როგორც ნაჩვენებია # 6 სურათზე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დახარისხებული თხილის ფასი (მთლიანი პროდუქციის 38 %) დაუხარისხებელ თხილთან შედარებით (62 %) თითქმის ორჯერ მაღალია. დახარისხებული თხილი, მისი ზომიდან გამომდინარე, 4 ჯგუფად იყოფა: 9 - 11 მმ, 11 - 13 მმ, 13 - 15 მმ, 15 + მმ. ზომის შესაბამისად იზრდება პროდუქტის ფასი (იხილეთ ცხრილი 7).

ცხრილი 6 – ქართული თხილის ფასის ცვლილება აშშ დოლარი/კგ (წყარო: EM კონსალტინგი)

Year	Jan	Feb	Mar	Apr	May	Jun	Jul	Aug	Sep	Oct	Nov	Dec
1997	-	-	-	-	-	-	-	0.50	1.20	1.25	1.50	1.70
1998	-	-	2.00	2.00	2.00	2.00	2.00	0.60	1.30	1.45	1.70	2.00
1999	-	-	2.00	2.00	2.00	2.00	2.00	0.60	1.35	1.50	1.70	2.00
2000	-	-	2.00	2.20	2.20	2.20	2.20	-	-	-	-	-
2004	-	-	-	-	-	-	-	2.20	2.50	2.80	3.30	3.70
2005	-	5.00	5.00	6.00	6.00	6.00	6.00	2.20	3.00	3.00	4.00	5.00
2006	5.00	6.00	5.00	3.00	3.00	3.00	3.00	2.20	2.30	2.30	2.30	2.40
2007	2.70	2.70	2.80	3.00	4.00							

ცხრილი 7 – თხილის კატეგორიები ზომისა და ფასის მიხედვით

კალიბრაცია პროცენტი ფასი		
9– 11 მმ	5 %	2.50 ლარი
11– 13 მმ	40 %	3.15 ლარი (აგვისტო: 2 ლარი, დეკემბერი: 4 ლარი)
13– 15 მმ	40 %	3.80 ლარი
15 + მმ	15 %	4 + ლარი

5. კონკურენციის ხიბლი - წარმოებისთვის საჭირო რესურსებით უზრუნველყოფის პირობები, მოთხოვნის პირობები, მსგავსი წარმოებები, კონტექსტი

5.1 წარმოებისთვის საჭირო რესურსებით მომარაგება

საქართველოში თხილის ადგილობრივი მრავალფეროვანი ჯიშები კარგად არის ცნობილი მათი ძირითადი უპირატესობების გამო. ქართულ თხილს ძლიერი ფესვთა სისტემა აქვს, რომელიც ნიადაგიდან ყველა საჭირო კომპონენტს საკმარისი რაოდენობით შეიწოვს, ამიტომ ქიმიური სასუქების მოხმარება მინიმალურად ხორციელდება. მიუხედავად ამისა, გამოკითხულ რესპონდენტთა და ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა უდიდესი ნაწილისთვის, სასუქი წარმოადგენს თხილის წარმოებისთვის საჭირო მთავარ რესურსს, რომელიც ერთ ოჯახს წელიწადში დაახლოებით 300 და 800 ლარამდე უჯდება.

გარდა ამისა, ეს სახეობები ნაკლებად ზიანდება მავნებლებისგან, ამიტომ პესტიციდების გამოყენება პრაქტიკულად არ ხდება. 2013 წ. USAID/ NEO (ახალი ეკონომიკური შესაძლებლობები) პროექტის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, ქუთაისის, წყალტუბოსა და ხონის მხარეებში ძირითადად არსებობს თხილის კვირტის ტიპის

(*Phytoptus avellana*) გავრცელების საშიშროება, სამტრედიასა და ხონში გრძელ-ულვაშა ხოჭოს (*Obera linearis*) გავრცელების მცირე შემთხვევებია დაფიქსირებული. სხვა მავნებლების არსებობა, როგორიცაა შემოდგომის პეპელა ან თხილის გრძელცხვირა, არ შეინიშნება. თითქმის ყველა სოფელში ფუნქციონირებს აგრო-სამრეწველო მაღაზიები, რომლებიც ფერმერებს ძირითადი აგროქიმიკატებით ამარაგებენ. უფრო დიდ ქალაქებში, მაგ. ქუთაისი, ეს მაღაზიები განთავსებულია ღია ბაზრებზე ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე. გაზაფხულსა და შემოდგომაზე, ადგილობრივ ბაზარზე შესაძლებელია ახალი ნერგების ყიდვა დაახლოებით 50 თეთრად (0.5 ლარი).



სურათი 3 – ახალი ნერგების მომწოდებელი ადგილობრივ ბაზარზე



სურათი 4 – ნერგები

რაც შეეხება თხილის პლანტაციებში მუშაობას, ფერმერთა უდიდესი ნაწილი ამას თავად ართმევს თავს ოჯახის წევრების დახმარებით. მოსავლის აღების პერიოდში, ზოგიერთი ფერმერი მუშახელს ქირაობს თხილის შეგროვებისა და საბურველისგან (ჩენჩოსგან) გასაწმენდად, ან ქურდებისგან ბალის დასაცავად. დღიური ანაზღაურება 10-დან 20 ლარამდე მერყეობს. ანაზღაურებას შესრულებული სამუშაოს ხასიათი განაპირობებს.

სამუშაოს რაციონალიზაციის მიზნით, შესაძლებელია გარკვეული ტექნიკის, როგორიცაა გასაფარცხი ტექნიკა, ჰერბიციდების შემსხურებელი, მწვანე საბურველისგან (ჩენჩოსგან) გასაწმენდი დანადგარი, დაქირავება სხვა ფერმერების ან მექანიზაციის საშუალებების მომწოდებლებისგან. თითოეულ მანქანაზე ფასები მერყეობს 40-დან - 50 ლარამდე ერთ ჰექტარზე.

5.2 მოთხოვნა

ფერმერთა უმრავლესობა მხოლოდ გაუტეხავ თხილს აწარმოებს. ფერმერები მოსავალს იღებენ, თხილს აშრობენ და საბურველისგან ათავისუფლებენ ხელით, ან დაქირავებული მანქანებით, ე.წ. საბურველისგან



სარჩევით. ფერმერები თავიან პროდუქტს ყიდნიან ადგილობრივი ბაზრის გამყიდველებზე, შუამავლებზე ან შეგროვების ცენტრებზე. ჯაჭვის ზოგიერთი მონაწილე შემდგომში თხილს ამუშავებს და ნაჭუჭისგან ათავისუფლებს. ეს ორი პროდუქტი (გაუტეხავი თხილი და თხილის გული)

წარმოადგენს ყველაზე დიდ საექსპორტო პროდუქტს, რომელთა მრავალფეროვნებაზე უდიდესი მოთხოვნაა.

ევროკავშირში ექსპორტი ეფუძნება GSP+ სისტემას, რომელიც ევროკავშირის პრეფერენციათა განზოგადებული სექმის კომპონენტია. ეს სისტემა შესაძლებლობას იძლევა საქართველოდან ექსპორტირებულ პროდუქტზე გავრცელდეს შეღავათიანი ტარიფები. სისტემის ფარგლებში, ევროკავშირის ბაზარზე თხილის შეტანა შესაძლებელია ნულოვანი საბაჟო განაკვეთით.

რეგიონის მთავარ ქალაქში, ქუთაისში, ისევე როგორც მთელ იმერეთში, თითქმის არ არსებობს მსხვილი სუპერმარკეტების ქსელი. არსებულ ბაზრებზე თხილი თითქმის არ არის, ან ძალიან მცირე რაოდენობითაა გასაყიდად გამოტანილი, რადგან შინამეურნეობათა უმრავლესობა თავად აწარმოებს ამ პროდუქტს. ამ მიზეზიდან გამომდინარე, თხილზე არ არის მაღალი მოთხოვნა, და თუ არის რაიმე მოთხოვნა, ვაჭრობა ადგილობრივ ბაზარში წარმოებს.

საერთაშორისო ბაზარზე დიდი მოთხოვნაა საფუძვლიანად გადამამუშავებულ პროდუქტზე, რომლის წარმოებაც მხოლოდ რამდენიმე უმსხვილეს საწარმოს შეუძლია. ეს პროდუქტებია: ბლანშირებული, მოხალული, დაჭრილი, დაქუცმაცებული თხილი, ან თხილის ფქვილი და პასტა.



სურათი 6 – გაუტეხავი თხილი, თხილის გული, ბლანშირებული, დაჭრილი და მოხალული თხილი (წყარო: Geonuts)

ქართულ სამზარეულოში თხილი პოპულარული ინგრედიენტია. მას იყენებენ ჩურჩხელის დასამზადებლად. ეს ტრადიციული, სოსისის ფორმის ტკბილეულია. ძაფზე წამოსხმულ თხილს რამდენჯერმე განმეორებით ავლებენ თათარაში - ფქვილის, შაქრისა და ბადაგის (ცოცხალი ყურძნის კონცენტრირებული წვენი) ნაზავში. ასევე კარგად არის ცნობილი ტრადიციული ქართული გოზინაყი. მისი მომზადებისას თხილი კარამელიზებულ

თაფლში იმუშება. თხილი ასევე გამოიყენება სხვადასხვა ნამცხვარში და ტრადიციულ, სანელებლებით შეზავებულ სოუსში, რომელსაც წიწილასთან ერთად მიირთმევენ.

5.3 დაკავშირებული მრეწველობები



სურათი 7 – თხილის ნაჭუჭები

თხილის მრეწველობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ნარჩენების მართვისა და ნაჭუჭების გამოყენების პრობლემა. 1 კგ. გაუტეხავი თხილიდან დაახლოებით 0.5 კგ. ნაჭუჭი რჩება. გადამამუშავებელი საწარმოები, როგორც წესი, ნაჭუჭს ყიდნიან დაბალ ფასად 0,15 - 0,20 ლარი/კგ. თხილის ნაჭუჭი ღირებულ პროდუქტად ძირითადად ენერგო წარმოებაში მიიჩნევა მისი მაღალკალორიულობის გამო - 4100 - 4410

კალ/კგ. თხილის ნაჭუჭის მომხმარებლები პროდუქტს ამუშავებენ და ბრიკეტებად ან ნახშირად გარდაქმნიან ბიომასის ბრიკეტების მანქანის საშუალებით, რომელსაც მყარი ბიომასის საწვავის დამზადება შეუძლია. ნაჭუჭებს ასევე ყიდულობენ საცხოვრებელი, მისი წვის თვისებისა და კალორიულობიდან გამომდინარე. უფრო მცირე მასშტაბებით, ნაჭუჭი გამოიყენება მეზღებო/მეზოსტენოზაში, როგორც ბილიკებისთვის კარგი საშენი მასალა. ბოლო წლებში ჩატარდა კვლევა თხილის ნაჭუჭის, როგორც განახლებადი და მცირე ფასიანი ლინოცელულოზური მასალის, ბიოეთანოლის წარმოებაში გამოყენებასთან დაკავშირებით.

5.4 კონკურენცია

ყველა რესპონდენტმა დაადასტურა ძლიერი კონკურენციის არსებობა, ვინაიდან ფერტილურ რეგიონებში ყველა ოჯახი ჩართულია თხილის წარმოებაში. ფერმერები არ თვლიან, რომ რაიმე პრობლემა აქვთ გაყიდვებთან დაკავშირებით, თუმცა მწარმოებელთა დიდი რაოდენობა ხშირად აისახება ფასზე, რომელსაც ისინი შუამავლისგან, ან გადამამუშავებელისგან იღებენ.

რაც შეეხება მეზობელ სახელმწიფოებს, ყველაზე დიდი კონკურენტი თურქეთია, რომელის წილი მსოფლიო თხილის წარმოებაში დაახლოებით 75% შეადგენს. თურქი შუამავლები რეგულარულად ყიდულობენ თხილს ადგილობრივი ფერმერებისგან. ერთის მხრივ, ადგილობრივ ფერმერებს პროდუქტის გაყიდვა გარანტირებული აქვთ; თუმცა მეორეს მხრივ, თურქი შუამავლები იღებენ თვითღირებულებასა და საბაზრო ღირებულებას შორის არსებულ სხვაობას, რომელის მიღებაც ადგილობრივ ფერმერებს პროდუქტის პირდაპირ საბოლოო მომხმარებლისთვის მიყიდვის შემთხვევაში შეუძლიათ.

USAID-ის (2011) თანახმად, კომუნიკაციის ნაკლებობა შეინიშნება თხილის მწარმოებლებს, კონსოლიდატორებს, გადამამუშავებლებსა და ექსპორტიორებს შორის, რაც საქართველოს თხილის მრეწველობას ნაკლებ-კონკურენტულს ხდის საერთაშორისო ბაზარზე. გარდა ამისა, გადამამუშავებისა და ტრანსპორტირების ინფრასტრუქტურა ძალიან გაუმართავია. შესაბამისად, ქვეყნის კონკურენტუნარიანობა სამომავლოდ დამოკიდებული იქნება მის შესაძლებლობაზე, გააუმჯობესოს ეს სისტემები.

6. სტრატეგიული მწარმოებლობა - პროდუქტიულობა და ხარისხი

6.1 თხილი სურსათის უვნებლობასა და ხარისხთან მიმართებაში

ადგილობრივი საცალო ვაჭრობისა და სუპერმარკეტების ქსელების მომარაგების, ასევე, საერთაშორისო ბაზარზე პროდუქტის გატანის მიზნით წარმოების გაზრდისთვის მთავარ სირთულეს, სურსათის ხარისხსა და უვნებლობასთან დაკავშირებული საკითხები წარმოადგენს. რიგით ფერმერებს, რომლებსაც საკუთრებაში 1 ჰა თხილის ბაღი გააჩნიათ, როგორც წესი, არ აქვთ აკრედიტებული ლაბორატორიის მიერ გაცემული სურსათის უვნებლობისა და ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატი, რადგან ის საჭირო არ არის ადგილობრივ ბაზარზე ვაჭრობისთვის. აქედან გამომდინარე, ფასზე მოლაპარაკებისას, მათი პოზიცია სუსტია. იმ შემთხვევებში, როდესაც ფერმერები პროდუქტს გადამამუშავებელ ქარხნებს აწოდებენ, ქარხნის წარმომადგენლები პერიოდულად სტუმრობენ ფერმერს და აკვირდებიან წარმოების პროცესს. შემდეგ ისინი თხილის ნიმუშებს ლაბორატორიაში აგზავნიან შესამოწმებლად.

საქართველოში არ არსებობს თანამედროვე საკანონმდებლო ბაზა და სურსათის უვნებლობისა და ხარისხის მონიტორინგის სტანდარტები. არ არსებობს სურსათის უვნებლობის მართვის სისტემები, სურსათის მოწოდების ჯაჭვში განსაზღვრული არ არის პასუხისმგებლობები, არ ხდება HACCP-ისა და წარმოების პროცესზე მონიტორინგის პრინციპების დაცვა, ისევე როგორც სათანადოდ არ არის განსაზღვრული და გატარებული პროდუქტის შეფუთვისა და მის ეტიკეტირებასთან დაკავშირებული მოთხოვნები. საქართველოში სულ რამდენიმე მწარმოებელია, რომელსაც ISO 22000 სერტიფიკატი გააჩნია.

6.2 ექსპორტისთვის აუცილებელი ფიტო-სანიტარული, ჰიგიენური და ხარისხთან დაკავშირებული მოთხოვნები

ევროკავშირში ექსპორტი ევროკავშირის პრეფერენციათა განზოგადებულ სისტემას, ე.წ. GSP+ სისტემას ეფუძნება. მწარმოებლებისთვის GSP+ სისტემის სპეცილური წესები განსაზღვრულია რეგულაციაში 155/2013. რაც შეეხება ხარისხს, დღესდღეობით, მყიდველები და გამყიდველები არაფორმალურად თანხმდებიან UNECE (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისია) სტანდარტ DDP-03 და DDP-04-ის

დაცვაზე, რომელიც გაუტეხავი თხილისა და თხილის გულის რეალიზაციასა და სასაქონლო ხარისხის კონტროლს შეეხება (იხილეთ დანართი 1 და დანართი 2). აღნიშნული სტანდარტების მიზანია საექსპორტო კონტროლის ეტაპისთვის გაუტეხავი თხილისა და თხილის გულის ხარისხობრივი მოთხოვნების განსაზღვრა მისი მომზადებისა და შეფუთვის შემდეგ.

2012 წელს ამერიკის ეროვნული სტანდარტების ინსტიტუტმა (ANSI) საერთაშორისო აკრედიტაცია მიანიჭა ორ ქართულ ლაბორატორიას, რომელთაც საერთაშორისო სტანდარტი ISO/IEC 17025 დანერგეს საექსპორტო სასოფლო სამეურნეო პროდუქტის შესამოწმებლად. EPI-ის (2012) თანახმად, ეს ორი ქართული ლაბორატორია გზას უხსნის ქართულ პროდუქტს საერთაშორისო ბაზრებისკენ და მრავალი სახის პროდუქტს მეტ კონკურენტუნარიანობას სძენს. ნავარაუდევია, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ექსპორტიორებს უფრო გაუადვილდებათ მაღალი მოთხოვნების საბაზრო სეგმენტებზე შესვლა, მაგ. დამკვიდრებული სუპერმარკეტების ქსელები, რომლებიც საერთაშორისოდ აღიარებული ტესტირების შედეგებს ითხოვენ.

7. ექსპლუატაციური მწარმოებლურობა - გადამუშავება, გადაადგილება, დაავადებები, ბიოლოგიური საფრთხეები

7.1 თხილის გადამუშავება

ტექნიკური განვითარება შრომის ეფექტურობისა და პროდუქტიულობის ზრდის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. ზოგადად საქართველოში, მცირე ფერმერებს მექანიზაციის საშუალებები ან საერთოდ არ გააჩნიათ, ან ძალიან მოძველებული საშუალებებით სარგებლობენ. თხილს როგორც წესი ხელით აგროვებენ. მინდვრებიდან შეგროვების შემდეგ, თხილს ფენენ 10-15 სმ. სისქის ფენებად მზეზე წინასწარ გასაშრობად, ფოთლების გაყავისფრებამდე. გაშრობის შემდეგ, თხილს საბურველისგან აცალკევებენ ხელით, ან მოსავლის ამღები მანქანით (სალეწი ან სარჩევი) და ჭილოფებზე ფენენ თხელ ფენად მზეზე ბუნებრივად გასაშრობად. გაშრობის ერთიანი პერიოდი, წინასწარი შრომის პერიოდის ჩათვლით, მაქსიმუმ 15-20 დღეს არ აღემატება, ამინდის პირობებიდან გამომდინარე (FTG, 2012).



სურათი 8 – ხელით დახარისხება

ბევრ გადამამუშავებელ ქარხანას აქვს საშრობი, სეპარატორი, ნაჭუჭიდან გამომყოფი და დასახარისხებელი ხაზები. მსხვილი საწარმოები ასევე იყენებენ თხილის გერმეტიულად შესაფუთ დანადგარებს, მუყაოს შესაფუთ მასალას და ა.შ. გაშრობის შემდეგ თხილი თავსდება გერმეტიულ სეპარატორში, რომელიც თხილს დარჩენილი საბურველისგან, დამტვრეული ნაჭუჭისა და სხვა არასასურველი ნარჩენებისგან აცალკევებს. აქედან თხილი თავსდება დასახარისხებელ მოწყობილობაში, რომელიც მას ზომის მიხედვით ახარისხებს. ეს საშუალებას იძლევა გასატეხი თხილი სპეციალურ ზომებს მოარგო, უფრო

უნიფიცირებული დამტვრევისთვის. სამტვრევში თხილის პირველი ჩაშვებისას პროდუქტის 70% იმტვრევა. შემდეგ ეტაპზე თხილი ბრუნდება სეპარატორში გულების ნაჭუჭებიდან გამოცალკეების მიზნით. დამტვრევის პროცესი რამდენჯერმე მეორდება. საბოლოოდ თხილის დახარისხება ხელით წარმოებს (იხილეთ სურათი 8), რათა ხელით მოხდეს არასასურველი გულის ან ნაჭუჭის განცალკევება ჯანსაღი თხილის გულისგან.



სურათი 9 – თხილის გადამამუშავებელი დანადგარი

7.2 ტრანსპორტირება



სურათი 10 – თხილის გულით დატვირთული ჯუტის ტომრები

პროდუქტის მინდვრიდან ადგილობრივ ბაზარზე ან გადამამუშავებელ საწარმოში ტრანსპორტირებას თავად ფერმერი, ან შემგროვებელი უზრუნველყოფს. ზოგიერთ შემთხვევაში შეგროვების ცენტრები თხილის შესასყიდად მანქანებს მცირე ფერმერებთან აგზავნიან. მანქანებს შეუძლიათ 3 ტონა თხილის ტრანსპორტირება. როგორც წესი,

თხილის გადაზიდვა 50 კგ.იანი ჯუტის ტომრებით ხორციელდება. მსხვილი გადამამუშავებელი საწარმოები ასევე იყენებენ მუყაოს ყუთებს, გემეტიულად შეკრულ ტომრებს და პოლიეთილენის ტომრებს.

პროდუქტის საქართველოდან ევროპაში ექსპორტირება ძირითადად 20 ტონიანი სატვირთო მანქანებით ხორციელდება. გადაზიდვის საშუალო ფასი 5 000 აშშ დოლარს შეადგენს. საბოლოო ფასი და პროდუქტის ადგილზე ჩატანის დრო განსხვავდება ადგილის დანიშნულების მიხედვით.

ტრანსპორტირების საშუალო დრო დაახლოებით 10 დღეა. ასევე საჭიროა დამატებით 7 დღე მოთხოვნის მოსამზადებლად.

7.3 მავნებლები და დაავადებები

დაავადებებს ძირითადად სხვადასხვა სახის მწერი-პარაზიტები ავრცელებენ, რომლებიც მცენარის ფერის სწრაფ გახუნებას, მცენარის ქსოვილების ჭკნობას ან ბურთის ფორმის ბუგრების ამოსვლას იწვევენ. მათი შემცირება შესაძლებელია სპილენძის შემცველი ბალის ხსნარის შესხურებით, რომელსაც სექტემბერში, მოსავლის აღების შემდეგ და მარტის დასაწყისში იყენებენ. ანალოგიურად ხდება მცენარის დამუშავება თხილის ხავსის შემთხვევაში (იხილეთ სურათი 11). ხავსის მოსაშორებლად ხსნარი გაჯერებული უნდა იყოს გოგირდისა და კირის ნაზავით. თხილის ხეს ხავსი უჩნდება იმის გამო, რომ ის მუდამ ჩრდილშია მოქცეული და არ ხდება მისი სათანადო გასხვლა. მეორეს მხრივ, ახალგაზრდა ხეების ღეროებს, რომელებიც არ არიან საკმარისად გაზრდილი იმისათვის, რომ ჩრდილი გაიკეთონ, მზეზე გადახურება ემუქრებათ (USAID, 2013). ხეები ასევე მგრძნობიარეები არიან ყინვის მიმართ.



სურათი 11 - ხავსით და სუროთი დაფარული თხილის ხე და რეკომენდირებული დაცვა

რაც შეეხება მავნებლებს, მათგან ყველაზე ხშირად გვხვდება: თხილის ცხვირგრძელა (*Balanus nuceum*), გრძელ საცეცებიანი ხოჭო (*Oberea linearis*), ამერიკული თეთრი პეპელა (*Machimia Tentoriferella*), ზამთრის პეპელა (*Operophtera Brumata*), ფოთლის მწერი (*Calpodes Ethilus*), მცოცავი მუხლუხო (*Choristoneura Rosaceana*), შემოდგომის ქსელის მატლი (*Hyphantria Cunea*), კვირტის ტკიპა (*Phytoptella Avellanae*) და მცენარის ტილი (ბუგრი) (*Corylobium Avellanae*). ამ მავნებელთაგან ნებისმიერის აღმოჩენის შემთხვევაში, საჭიროა ქიმიური ხსნარის გამოყენება, აგრო-მაღაზიებში სათანადო კონსულტაციების გავლის შემდეგ.

8. მომარაგების ქსელის მართვა - პროდუქციის მიწოდება და ინფორმაცია მომარაგების ქსელში

იმერეთში თხილის წარმოების ჯაჭვი საშუალო ზომისაა, მასში რამდენიმე მონაწილეა ჩართული. პროდუქტი საბოლოო მომხმარებელამდე სხვადასხვა გზით ხვდება. არ არსებობენ დომინანტი მონაწილეები, რომლებიც აკონტროლებენ ან მართავენ წარმოების ჯაჭვს. ჯაჭვის მუშაობა პირად კონტაქტებზეა დამოკიდებული; თუმცა, კონტაქტები არარეგულარულია. არ არსებობს წერილობით გაფორმებული კონტრაქტები ან შეთანხმებები, სადაც განსაზღვრული იქნება ადგილზე ვაჭრობის პირობები. ზოგადად, ფერმერი თავის მოსავალს ყიდის მყიდველზე, რომელიც უფრო მაღალ ფასს შესთავაზებს.

გრძელვადიანი და ფორმალური ვალდებულებების ნაკლებობა, ასევე წარმოადგენს მიწოდების ჯაჭვში ცოდნისა და ინოვაციური მიდგომების გავრცელების შეზღუდვის ერთ-ერთ მიზეზს.

9. ადამიანური რესურსები, კაპიტალი და ცოდნა-გამოცდილება თხილის მიწოდების ჯაჭვში

9.1 ცოდნა-გამოცდილება და გაფართოებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობა

იმერეთში თხილის მწარმოებელთა უმრავლესობას მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. მათ თხილის წარმოების ტექნიკა მამებისა და ბაბუებისგან შეისწავლეს, რადგან თხილის გაშენება-მოყვანა ძირითად საოჯახო ბიზნესს წარმოადგენს. თუმცა, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ხარისხისა და მოსავლიანობის მისაღწევად, საჭიროა გარკვეული ტრენინგი ტექნოლოგიური პროგრესის საკითხებზე. ზოგიერთ რესპონდენტს მონაწილეობა მიღებული აქვს ელკანას მიერ ჩატარებულ ტრენინგში, რომელიც ყველა მათგანის თქმით, ძალიან სასარგებლო იყო. ელკანა კონსულტაციებს ეწეოდა თხილის გაშენება-მოყვანისა და გასხვლის შესახებ. ორგანიზაციას ასევე ჩატარებული აქვს ხარისხის გაუმჯობესების საკითხებზე მიმდინილი რამდენიმე ტრენინგი. ასევე დარიგდა ბროშურები თხილის კულტივირების თემაზე.

თხილის მწარმოებელი ფერმერებისთვის ტრენინგები ასევე ჩატარა USAID-მა, ფერეროსთან (Ferreiro) თანამშრომლობით. აღნიშნული ტრენინგების ძირითადი მიზანი იყო ქართველი თხილის მწარმოებლების შესაძლებლობების გაუმჯობესება, მათთვის სანიმუშო პრაქტიკებზე ხელმისაწვდომობისა და საბაზრო შესაძლებლობების უზრუნველყოფა. 2011 წლის შემდეგ, ტრენინგი 3000 ქართველ მეთხილე ფერმერს ჩაუტარდა.

გარდა ამისა, ფერმერებს შესაძლებლობა აქვთ კონსულტაციები მიიღონ თავიანთ მუნიციპალიტეტებში არსებული სოფლის მეურნეობის დეპარტამენტისგან. გურიის რეგიონში ფუნქციონირებს ანალიზის ცენტრი, რომელიც ნიადაგის უფასო ანალიზის

ჩატარებას და შესაბამისი სასუქების მოხმარებაზე რეკომენდაციების გაწევას უზრუნველყოფს. ინფორმაციის შესაგროვებლად, ზოგიერთი ფერმერი პროფესიულ წიგნებსა და ინტერნეტ-რესურსებს იყენებს.

9.2 ოფიციალური განათლების მიღების შესაძლებლობა

ამ ეტაპზე ცნობილი არ არის რომელიმე ოფიციალური კურსი საქართველოში, რომელიც სპეციალურად თხილის გაშენება-მოყვანის, ხარისხის გაუმჯობესების, გადამუშავების ან სერტიფიცირების საკითხებს ეძღვნება. ეს კარგი შესაძლებლობაა უნივერსიტეტებისთვის, ან ახალი სასწავლო ცენტრების დასაარსებლად.

10. ინსტიტუციები და ბიზნეს გარემო

10.1 თხილის მწარმოებელთა ასოციაცია

საქართველოში თხილის მწარმოებელთა მხოლოდ 1 ორგანიზაცია არსებობს. 2007 წელს შედგა თხილის მწარმოებელთა ასოციაციის შექმნის პირველი მცდელობა. მასში საქართველოს ბაზარზე მოქმედი 22 ძირითადი მოთამაშე გაწევრიანდა, „აგრი-ჯორჯიას“ (AgriGeorgia) ჩათვლით. მიუხედავად იმისა, რომ დამფუძნებელთა შეხვედრა ჩატარდა და სიტყვიერი შეთანხმებაც მიღწეულ იქნა, არანაირი სამართლებრივი დოკუმენტი არ შექმნილა, სადაც დაფიქსირებული იქნებოდა ასოციაციის დაარსების ფაქტი.

„აგრი-ჯორჯიას“ თანახმად, თხილის მწარმოებელთა ასოციაცია დაარსდა ორ ათეულზე მეტი კომპანიის მონაწილეობით. ასოციაციის მიზანია მწარმოებელთა გაერთიანება და მათი ცოდნა-უნარების გაუმჯობესება, განსაკუთრებით კულტივირების, გადამუშავებისა და ზოგადად „ნოუ-ჰაუს“ გაზიარების მიმართულებით. ასოციაცია მოწოდებულია თხილის მწარმოებლებს დაეხმაროს თხილის წარმოებისა და ხარისხის გაზრდაში, მცენარის მოვლისა და გადამუშავების პროცესში ახალი ტექნოლოგიების დანერგვაში და ახალი ბაზრების მოძიებაში. ასოციაციის სათაო ოფისი თბილისში მდებარეობს, ხოლო მისი ფილიალები განთავსებულია სამეგრელოში, გურიაში, აჭარაში, იმერეთსა და კახეთში.

10.2 მთავრობის ხელშეწყობა

ზოგადად, მთავრობა ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას და სოფელში სიღარიბის შემცირებას. განსაკუთრებით გასულ წლებში, სოფლის მეურნეობა პოლიტიკის შემუშავებისა და სახელმწიფო ინვესტირების პრიორიტეტად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობა პირდაპირ დახმარებას არ უწევს ფერმერებს, ის თანამშრომლობს უცხოურ ორგანიზაციებთან, როგორიცაა ფერერო ან USAID, რომლებიც დაინტერესებულები არიან ინდუსტრიის განვითარებით.

11. დასკვნები და რეკომენდაციები

11.1 SWOT (ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები, საფრთხეები)

ძლიერი მხარეები თხილის კულტივირების ხანგრძლივი ტრადიცია პროდუქტის კონკურენტული ფასი მდებარეობა შავი ზღვის რეგიონში - ყველაზე შესაფერისი რეგიონი თხილის წარმოებისთვის	სუსტი მხარეები დაბალი პროდუქტიულობა (თხილის მოსავალი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება საერთაშორისოდ არსებულ მოსავლიანობის საშუალო მაჩვენებელს) თხილის მომწოდებელთა რაოდენობა მცირე ზომის თხილის მწარმოებლები და მიწის გადაჭარბებული ფრაგმენტაცია მოძველებული მანქანა-მოწყობილობები გადამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნის სიმწირე გაუმჯობესებისთვის საჭირო კაპიტალის სიმცირე, რათა მოხდეს საერთაშორისო ბაზრების სპეციფიური საჭიროებების დაკმაყოფილება
შესაძლებლობები ფერმერთა თანამშრომლობა აგროქიმიკატების შეძენის, გადამუშავების, მარკეტინგისა და პროდუქტის დიდი რაოდენობით გაყიდვის კუთხით ეკონომიკური სარგებელის გაზრდა წარმოებისა და ხარისხის საკითხებზე ჩატარებული ტრენინგების გზით მზარდი მოთხოვნა საერთაშორისო ბაზრებზე საერთაშორისო საკონდიტრო ფაბრიკების მოთხოვნა თხილზე შეღავათიანი ტარიფი პრეფერენციათა განზოგადოებული სისტემის ფარგლებში (GSP+)	საფრთხეები კონკურენცია თურქეთის, მსოფლიოს ყველაზე მსხვილი მომწოდებლის მხრიდან, რომელსაც საერთაშორისო ბაზარზე ყოფნის მეტი გამოცდილება აქვს საბაზრო ფასზე ზეგავლენის მოხდენის უუნარობა გლობალურ ბაზარზე შესვლის ხელისშემშლელი ბარიერები

11.2 მცირე ფერმერებისთვის რა წარმოადგენს მეფრინველეობის პროდუქციის ქსელის გაუმჯობესების პოტენციალს?

მექანიზაციის საშუალებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა – მიუხედავად მექანიზაციის ცენტრების არსებობისა, დღესდღეობით თხილის პლანტაციების მფლობელთათვის ტექნიკაზე ხელმისაწვდომობა დაბალია, ტექნიკის არასაკმარისობის გამო კი ვერ ხდება მომხმარებლების დროული მომსახურება აგროვადების შესაბამისად;

მცენარეთა დაცვის მომსახურების ხარისხის ამაღლება – რისთვისაც აუცილებელია ერთის მხრივ კვალიფიციური მცენარეთა დაცვის სპეციალისტების და მეორეს მხრივ ხარისხიანი სამკურნალო საშუალებების არსებობა;

დარგში კოოპერირების განვითარების ხელშეწყობა – იმის გამო, რომ ცალკე აღებული თითოეული ფერმერი მცირე ზომის პლანტაციებს ფლობს და შესაბამისად მცირე მეურნეობა აქვს, ისინი დამოუკიდებლად ვერ ახერხებენ თანამედროვე მჭირადღირებული ტექნიკის შეძენას, შემკრები პუნქტების მოწყობას და ა.შ., რაც მნიშვნელოვანია მათი მეურნეობის ზრდისათვის. ამ პრობლემის მოგვარების ერთერთი ეფექტური გზა შეიძლება იყოს კოოპერირების საშუალებით მეურნეობების მოცულობის ზრდა, რათა გაიზარდოს მათი ხელმისაწვდომობა ტექნიკასა და ტექნოლოგიაზე;

ჯიშების გაუმჯობესება – მაღალპროდუქტიული და გარემო კლიმატური პირობების მიმართ უფრო მეტად მდგრადი ჯიშების დანერგვის ხელშეწყობა, რომელიც საშუალებას მისცემს ფერმერებს გაზარდონ მოსავლის ყოველწლიური მოცულობა და შეამცირონ კლიმატურ პირობებზე დამოკიდებულების ხარისხი.

12. წყაროები და ბიბლიოგრაფია

EM კონსალტინგი. ქართული თხილი: თანამშრომლობის უნიკალური შესაძლებლობა თქვენი სასურსათო ბიზნესის ხელშესაწყობად Unique opportunity for cooperation for your food business. (ინტერნეტ-რესურსი) ხელმისაწვდომია: http://www.iemc.eu/download/EMC_Hazelnuts.pdf

FAO. 2014. FAOSTAT. სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია, რომი FTG. 2012. თურქეთის თხილი. გირესუნი: FTG. ხელმისაწვდომია: <http://www.ftg.org.tr/en/turkish-hazelnut-turkeys-hazelnut.htm>

თხილის მინდვრების ფერმა. 2014. (ინტერნეტ-რესურსი) ხელმისაწვდომია: <http://hazelnutvalleyfarm.com/>

მიროტაძე, ნ. 2004. თხილი საქართველოში. Acta Horticulturae (ISHS), 686: 29-34. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2014 ჯეოსტატი. ხელმისაწვდომია: <http://geostat.ge/index.php?lang=eng>

ნაცვლიშვილი, ი. 2012. ადგილობრივი აკრედიტებული ლაბორატორიები სასოფლო სამეურნეო პროდუქტის ექსპორტის ზრდის ხელშესაწყობად. Georgia Today. (ინტერნეტ-რესურსი) ხელმისაწვდომია: http://www.georgiatoday.ge/article_details.php?id=10532

OECD. 2011. ხილისა და ბოსტნეულის საერთაშორისო სტანდარტები: გაუტეხავი თხილი და თხილის გული. (ინტერნეტ-რესურსი) ხელმისაწვდომია: <http://www.oecdilibrary.org/docserver/download/5111123e.pdf?expires=1399752232&id=i&d&accname=ocid56027718&checksum=C21ACCB44A7D01171A97350ADBE021A>

USAID ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა. თხილის წარმოების სახელმძღვანელო: უკეთესი მართვა უფრო მაღალი მოსავლისა და გაზრდილი მოგებისთვის. ხელმისაწვდომია:

http://www.rciproject.com/rcicaucasusgeorgia_files/Georgia_EPI_%20Hazelnut%20Production%20Manual_11.pdf

USAID ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა. 2011. წარმოების ჯაჭვის შეფასების ანგარიში. (ინტერნეტ-რესურსი) ხელმისაწვდომია:

<http://www.greengeorgia.ge/sites/default/files/EPI%20Value%20Chain%20Assessment.pdf>

USAID, NEO. 2013. მონაცემთა ბაზის შექმნა თხილის ოთხი მავნებლის გავრცელების მონიტორინგისთვის (ინტერნეტ-რესურსი) ხელმისაწვდომია:

http://www.georgianeoo.ge/failebi/Georgia4_11_2013_16271.ppt

13. დანართები

13.1 ამონარიდი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) სტანდარტი DDP-03-დან გაუტეხავი თხილის რეალიზაცია და სასაქონლო ხარისხის კონტროლი

a. მინიმალური მოთხოვნები²

ყველა სახეობის გაუტეხავი თხილი, თითოეული სახეობისთვის დაწესებული მოთხოვნებისა და გადახრების დასაშვები დონეების გათვალისწინებით, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ნაჭუქს შემდეგი მახასიათებლები უნდა ჰქონდეს:

- უნდა იყოს მთლიანი, თუმცა ზედაპირის მცირეოდენი დაზიანება დეფექტად არ მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გული ფიზიკურად დაცულია.
- უნდა იყოს სუფთა, ხილული უცხო სხეულებისგან პრაქტიკულად თავისუფალი. მიმხმარი საბურველის ნარჩენებით დაფარული ფართობი არ უნდა აღემატებოდეს ნაჭუქის მთლიანი ზედაპირის 5%-ს.
- ლაქების და ნაჭუქის ძირითად ფერთან შედარებით მკრთალი ან კონტრასტული შეფერილობის ადგილები ნაჭუქის მთლიანი ზედაპირის 25%-ს არ უნდა აღემატებოდეს.
- უნდა იყოს კარგად ფორმირებული, შესამჩნევი დეფორმაციის გარეშე.

თხილის გულს შემდეგი მახასიათებლები უნდა ჰქონდეს:

- არ უნდა იყოს მძაღე.
- უნდა იყოს საკმარისად მოწეული. გული ნაჭუქის შიგთავსის მინიმუმ 50%-ს უნდა ავსებდეს.
- არ უნდა იყოს ზედმეტად გამომშრალი. გული, რომლის ზედაპირის 25%-ზე მეტი არის ზედმეტად გამომშრალი ან გამაგრებული, უვარგისია და უნდა მოხდეს ამგვარი გულის გამორჩევა საღი პროდუქტისგან;
- თხილის გულზე ლაქებისა და აგრეთვე ძირითად ფერთან შედარებით მკრთალი ან კონტრასტული შეფერილობის ადგილები მთლიანი ზედაპირის 25%-ს არ უნდა აღემატებოდეს.
- უნდა იყოს კარგად ფორმირებული.

მთლიანი პროდუქტი (ნაჭუქი და გული) შემდეგ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს:

- უნდა იყოს მშრალი „ბ“ ნაწილში განსაზღვრული ტენიანობის შემცველობის მოთხოვნების თანახმად.
- უნდა იყოს საღი. ლპობისა და გაფუჭების ნიშნების მქონე პროდუქტი მიიჩნევა ადამიანის მოხმარებისთვის უვარგისად და არ მიიღება.

² ტერმინები და დეფექტები განსაზღვრულია სტანდარტების ტიპობრივი ფორმის მე-3 დანართში - მშრალი ნაყოფის (გაუტეხავი თხილი და თხილის გული) და გამომშრალი პროდუქტების სტანდარტებისთვის შემუშავებული რეკომენდებული ტერმინები და დეფექტების განმარტებები http://www.unece.org/trade/agr/standard/dry/StandardLayout/StandardLayoutDDP_e.pdf

- არ უნდა შეიმჩნეოდეს შეუიარაღებელი თვალით ხილული ობის ნიშნები.
- არ უნდა აღინიშნებოდეს ცოცხალი ორგანიზმების არსებობა, მიუხედავად მათი განვითარების ეტაპისა.
- არ უნდა იყოს მავნებლებით დაზიანებული, რაც ასევე მოიცავს მკვდარი მწერების ან/და ტკიპების და მათი ნარჩენების ან ექსკრემენტების არსებობას.
- გარე ზედაპირის ტენიანობა არ უნდა იყოს ზედმეტად მაღალი.
- არ უნდა ჰქონდეს უცხო სუნი ან/და გემო.

გაუტეხავი თხილი საშუალებას უნდა იძლეოდეს, რომ:

- გაუძლოს ჩატვირთვას, გადმოტვირთვას და ტრანსპორტირებას და
- დანიშნულების ადგილს დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში მიეწოდოს.

13.2 ამონარიდი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) სტანდარტი DDP-04 დან თხილის გულის რეალიზაცია და სასაქონლო ხარისხის კონტროლი

ა. მინიმალური მოთხოვნები

ყველა სახეობის თხილის გული, თითოეული სახეობისთვის დაწესებული მოთხოვნებისა და გადახრის დასაშვები დონეების გათვალისწინებით, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

თხილის გულს შემდეგი მახასიათებლები უნდა ჰქონდეს:

- უნდა იყოს მთლიანი, თუმცა თხილის კანის ნაწილის არარსებობა ან ზედაპირის მცირეოდენი დაზიანება, რომლის დიამეტრი 3 მმ-ზე ნაკლებია და სიღრმე 1.5 მმ-ს არ აღემატება, დეფექტად არ განიხილება.
- უნდა იყოს საღი. ლპობისა და გაფუჭების ნიშნების მქონე პროდუქტი, რომელიც ადამიანის მოხმარებისთვის უვარგისად მიიჩნევა, არ მიიღება.
- უნდა იყოს სუფთა, პრაქტიკულად თავისუფალი ხილული უცხო სხეულებისგან.
- უნდა იყოს საკმარისად მოწეული, დამჭკნარი ან ზედმეტად გამომშრალი გული, რომლის ზედაპირი ზომაზე მეტად გლუვი, დანაოჭებული ან გამომშრალია ან ისეთი თხილის გული, რომლის 50%-ზე მეტი არასათანადო სიმაგრისაა, შეუსაბამოდ მიიჩნევა.
- უნდა იყოს ლაქების გარეშე - მკრთალი ან კონტრასტული შეფერილობის ადგილები თხილის გულის მთლიანი ზედაპირის 25%-ს არ უნდა აღემატებოდეს. ისეთი გული, რომელსაც ცენტრი ყავისფერი ან მუქი ყავისფერი შეფერილობის აქვს, რასაც ჩვეულებრივ თან ახლავს გულის უმნიშვნელო გაყოფა და ეს უარყოფით ზეგავლენას არ ახდენს ნაყოფის სუნსა და გემოზე, დეფექტად³ არ განიხილება.
- არ უნდა აღინიშნებოდეს ცოცხალი ორგანიზმების არსებობა, მიუხედავად მათი განვითარების ეტაპისა.

³ აღნიშნული მოთხოვნა არ გულისხმობს ისეთ შიგა და გარე დალაქავებას, რომელიც თხილს გემოს ან სუნს უცვლის. მოთხოვნა ითვალისწინებს მხოლოდ იმ შემთხვევებს, როდესაც თხილი ადამიანის მოხმარებისთვის ვარგისია.

- არ უნდა იყოს მავნებლებით დაზიანებული, რაც ასევე გულისხმობს მკვედარი მწერების ან/და ტკიპების, მათი ნარჩენების ან ექსკრემენტების არსებობას. თუმცა დასაშვებია cimiciato-ს მიერ გამოწვეული ნაყოფის დაზიანება იმ შემთხვევაში, თუ თხილის გულის ზედაპირზე აღინიშნება დაზიანების მხოლოდ ერთი ლაქა, რომლის ზომა არ აღემატება დიამეტრით 3 მმ-ს და სიღრმით 3 მმ-ს.
- არ უნდა შეიმჩნეოდეს შეუიარაღებელი თვალით ხილული ობის ნიშნები.
- არ უნდა იყოს მძაღე.
- გარე ზედაპირის ტენიანობა არ უნდა იყოს ზედმეტად მაღალი.
- არ უნდა ჰქონდეს უცხო სუნი ან/და გემო.

თხილის გული საშუალებას უნდა იძლეოდეს, რომ:

- გაუმლოს ჩატვირთვას, გადმოტვირთვას და ტრანსპორტირებას;
- დანიშნულების ადგილს დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში მიეწოდოს.